ბორჯომის მუნიციპალიტეტში სოფელ ცემის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №64.25.04.047; №64.25.04.154;) საცხოვრებელი და სპორტული კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N591 დადგენილების „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად მიმდინარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2021 წლის 17 ივნისის N68/ო ბრძანება და 2021 წლის 18 ივნისის N4/21 ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავებული დოკუმენტაციის - ბორჯომის მუნიციპალიტეტში სოფელ ცემის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №64.25.04.047; №64.25.04.154;) საცხოვრებელი და სპორტული კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის განხილვა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობა ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე და მოიცავს 2 საკადასტრო ერთეულს და საერთო ჯამში ფართობი დაახლოებით შეადგენს 47 340 კვ.მ-ს.

ტერიტორიას განესაზღვრა შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები: ა) განაშენიანების მაქსიმალურ კოეფიციენტი განისაზღვროს კ1-0.2; ბ)განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალურ კოეფიციენტად ქვეზონის შესაბამისად განისაზღვროს კ2-0.9; გ) გამწვანების მინიმალურ კოეფიციენტი ქვეზონის შესაბამისად განისაზღვროს კ3-0.4; დ) განაშენიანების მაქსიმალური სართულიანობა განისაზღვროს: 3-4 სართული მანსარდით; გამონაკლისის სახით დასაშვები სართულიანობა 6-7 სართული; წარმოდგენილი კონცეფცია შეესაბამება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2021 წლის 17 ივნისის N68/ო ბრძანებით დამტკიცებულ დავალებას.

დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის ერთიანი საცხოვრებელი და სპორტული კომპლექსად ჩამოყალიბება. ტერიტორიზე დაგეგმილია 30-40-მდე 3-4 სართულიანი მანსარდული ტიპის შენობა ერთიანი არქიტექტურული იერსახით და რამდენიმე უფრო მაღალი 6-7 სართულიანი შენობა არქიტექტურულ ანსამბლში დომინანტური მოცულობების შესაქმნელად. შენობების მიწისპირა სართულებზე მოეწყობა კაფე-რესტორნები, მაღაზიები სამედიცინი კაბინეტები, საოფისე სივრცეები და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების კომერციული ობიექტები. ჩრდილო-აღმოსავლეთ ზონაში აშენდება სასპორტო კომპლექსი დახურული კალათბურთის დარბაზით, ტენისის კორტით, ფიტნეს დარბაზით და ფუნქციონირებისთვის საჭირო ფართებით.

განაშენიანებისთვის გათვალისწინებული იქნება 2 დონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომი 134 ავტომობილზე და ღია ავტოსადგომი 16 ავტომობილზე, მთლიანობაში გათვალისიწნებულია 150 ავტოსადგომი. მიწისქვეშა ავტოსადგომები მოეწყობა სპორტული მოედნების ქვემოთ.

საპროექტო ტერიტორიაზე სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 10 სამუშაო დღის ვადაში 2021 წლის 5 ნოემბრამდე შემდეგი ელექტორნული ფოსტის მეშვეობით: sajaro.gankhilvebi@mrdi.gov.ge